პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №13

20 19 წ. "28" 01

ქ.თბილისი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,აისისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგნმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №136 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,აისისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგნმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №136 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,აისს" (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები":

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 040688	58	73	ქართული	30	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა
2	იატაკისა და ფილის სამუშაოები (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 040689	82	97	ქართული	30	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა
3	ქვის სამუშაოების წარმოება (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში 040687	58	73	ქართული	30	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო
4	მეთევზეობა (ფერმერობა მეთევზეობაში) (2)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364	100	130	ქართული	15	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ალვანი

(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში."

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 იანვრის №2 სხდომის ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე